კვირა, 12 აპრილი. | ფასი ყველგან 10 კ.

# მათრახი და სალამური



№ 1 იუმორისტული ალმანახი

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Тип. Шрома, для Алманаха.



იხილე მეორე გვერდი.

## „ახალშენის“ „აშენებელნი“

სევასტი. რას დაღვრემილხარ, გენაცვალე,
ძმაო ბაგრატა?
მდიდრებს ღარიბნი ჰქმნიან ხოლმე,
იყავ მაგრათა!!
ე ფარსადანოვ-მაკაროვის
ძმავ, მამულები
ხომ ფეხქვეშ გვიძევს დამტკიცებულ
დაპლანულები?!!

ბაგრატა. სევასტი ჩემო! გული რაღაც
სხვას ჩამჩურჩულებს..
აბა ვინ მოგვცემს მამულებში
ჩვენ ზედმეტ ფულებს?!

სევასტი. რატომ ვინ მოგვცემს, ამხანაგო?
ვინ და მუშები,
გამხიარულდი, კარგი ერთი,
ნუ ილუშები...
ჩვენ ხელთ არ არის ე კანტორა
და „ახალშენი“?
ბედს რათ ემდური, სწორეთ მიკვირს
მე საქმე შენი.

.ბაგრატა. კეთილი .. მაგრამ, რომ მოგვთხოვონ
ანგარიშები?
ხომ შევრცხვი კაცი, გავილანძღე
და რას მიშველი?!!

სევასტი. ახირებული კი ყოფილხარ
შენ გენაცვალე!..
ანგარიშების „ჩახლაფორთი“
მე დამაცალე.
რის ანგარიში? ხომ არავინ
გადარეულა?
ასეთი გიჟი ჩვენს მუშტრებში
არვინ რეულა.
მე არვის მივსცემ ანგარიშებს
თუნდ ჩავიქოლო,
და თუ მივეცი, არ ექნება
თავი და ბოლო.

ბაგრატა. შაქარი შენ პირს თუკი აგი
ასე ახდება,
მაგრამ ვინ იცის, ხვალ ეშმაკი
საღ გამოხტება?!!

სევასტი. შენ ეშმაკების, ჩემო ბაგრატ,
განდევნე შიში...
არც „ახალშენის“ დაგვჭირდება
ძმავ ანგარიში.
სხვებს თითო მივსცეთ, ჩვენ ხუთ-ხუთი
„უჩასტკა“ ვილოთ
და თუ ქანქარი რამ შემოვა
სახლი ავიგოთ.

ბაგრატა. ჩოხ იახშ, ძმაო, დე აღსრულდეს
განზრახვა შენი,
თუკი გვექნება უხიფათო
გამოსარჩენი.

ცულლუტი.



### გლეხი გაზაფხულზე.

—

ბაღში ხეხილნი აყვავდენ
ტყემ გახსნა მწვანე კარავი,
ბალახებ შორის დაძვრება
სიო ქურდული მპარავი.
ჩხრიალ-დუდუნით კისკისით
მთიდან მოხტიან რუები,
ველს თავს ევლება პეპელა
სიამით განაბრუები.
შრომას შეუდგა ფუტკარი
გარჯაში დაუზარები,
დასძახა კაფემ და გლეხმაც
კავში შეაბა ხარები.
მოხვნა მოთესვა მოფარცხვა
და გამზადება ყანების,
თესვის დროს თუ რამ დააკლო
ის მკის დროს დაენანების.
ხნავს და...სახნავი არ ყოფნის
სთესავს და... თესლიც სჭირდება
მოსავალზედაც ატყობს რომ
მიწაც თან და თან მწირდება.
მაინც ხნავს... „ჰაშიი!“ გასძახის
თავის ნიშას და ლომასა,
და წლიდან წლობით ეწევა
ამ ძნელ, უმადურ შრომასა!
ის მოხნავს—სხვები წაზიდვენ
ნაამაგარსა, ნაშრომსა
და მშრომელს არც კი არჩენენ
მუცლის ძუნწ გამოსაძღომსა!
„ე როგორ ხდება?“ კითხულობს...
რომ ვერ სწყვეტს გამოცანასა,
თავს ჰკიდებს, ნაღვლობს და სწყევლის
სიცოცხლეს ამისთანასა!..
დღეს კი...ჰქმნის, ღხინობს ყოველი:
გარშემო გაზაფხულია!
და ისიც ემმის ფერხულში
შრომობს, არ უთმენს გულია...

ნ. ზომლეთელი.

# უფასო ბილეთი

(ამბავი)

სადგურ მოლიანთის ზარი მესამეჯერ ჩამოკრეს. ბესო თავქარაშვილმა ძლივს მიასწრო მატარებელს. ის, თავის თანამგზავრ ახალგაზრდა ქალთან ერთათ, საჩქაროთ შევიდა მეორე კლასის ვაგონში. აუტანელ სიცხისაგან თითქო მატარებელსაც სუნთქვა შეხუთოდა, ერთი ძალზე ამოიქშინა, კომლის შავი ბურთები ზედი ზედ ამოისროლა და ზანტათ გაუდგა გზას.

ივლისის პაპანაქება დღე იყო. საშინლათ ცხელოდა. ტყვიასავით დამძიმებული, მტვრით შეზავებული ჰაერი სულს უხუთავდა ადამიანს. მოკაშკაშე მზე, თითქო დასცინოდა გახურებულ დედამიწას, ის ძალზე აჭერდა თავის სხივებს. გინდოდა გაქცეულიყავი სადმე, მოშორებოდი ამ ჯოჯოხეთს, სადმე შორს ტყეში, ჩრდილ ქვეშ, მოდუდუნე წყლის პირათ, გაგეგრილებია ოფლით დაღარული შუბლი, ხარბათ დასწაფებოდი წმინდა, სუნნელებით შეზავებულ ჰაერს. მატარებელში საშინლათ ცხელოდა, თვალებ მიბნედილი და მისუსტებული მგზავრები ერთი მეორეს ეცილებოდენ, სარკმელთან დაეჭირათ ალაგი, რომ ცოტათი მაინც ჩაეყლაპათ გრილი ჰაერი. მეტის სიცხისაგან თითქო ყველა რაღაც სიზარმაცეს შეეპყრო, არავინ ხმას არ იღებდა.

— უჰ! ძლივს!—წყნარათ წამოიძახა ახალგაზრდა ქალმა, როცა მეორე კლასის ვაგონის რბილ სკამზე დაეშვა, თავიდან შლიაპა მოიხადა, ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლზე ჩამონადენი ოფლი მოიწმინდა—სწორეთ რომ ჯოჯოხეთია, ასეთი სიცხე ჯერ არ მინახავს.

— სწორეთ გასაოცარი დღეა—ღიმილით წარმოსთქვა თავქარაშვილმა და იქვე მის პირდაპირ ჩამოჯდა.—კიდევ ერთი წუთი რომ დაგვგვიანებოდა, მატარებელი გაგვასწრობდა და დავრჩებოდით ამ ჯოჯოხეთში.

— უკაცრავათ! ჩემი ბრალი იყო დაგვიანება. თქვენ მგონია დროზე მოხველით?

— სწორეთ ნახევარი საათი იქნება რაც აქ ვარ. გელოდეთ, გელოდეთ და ბოლოს კინაღამ სახლში დავბრუნდი, მეგონა გადაფიქრეთ და აღარ აპირებდით წამოსვლას.

— დაპირება და გადაფიქვრა ჩემს კარაბადინში არ სწერია—ღიმილით წარმოსთქვა ახალგაზრდა ქალმა—რაკი გუშინ თანხმობა განვაცხადე, მორჩა და გათავდა, უნდა დარწმუნებული ყოფილიყავით რომ წამოვიდოდი. სიმართლე რომ ვსთქვა ჩემი დაგვიანების მიზეზი მე არ ვარ, გზაში ტრამვაის ვაგონი გაფუჭდა და მთელი საათი მომინდა ცდა, ბოლოს ფეხით წამოვედი.

— სწორეთ გასაოცარია, როცა ადამიანს გეჩქარება, რაღაც რომ არ შეგემთხვას და არ შეგაჩეროს ყოვლად შეუძლებელია. წარმოიდგინე მუდამ ასე მემართება. როცა მეჩქარება სადმე, უსათუოთ რაღაცას ისეთს გადავეყრები, რომ შემაფერხებს, ან ვაგონი გატყდება, ან მთელი საათი დაიგვიანებს, ან ადგილს ვერ ვიშოვნი.

— უიღბლო ყოფილხართ—ღიმილით სთქვა ქალმა.

— არც თქვენ ყოფილხართ მაინცა და მაინც იღბლიანი.

— უჰ! რა ცხელა! მე მგონია კარგი იქნება ფანჯარას რომ გავაღებდეთ.

— ეხლავ გავაღებ.

ბესო წამოდგა და გააღო ფანჯარა. ვაგონში გრილმა ნიავმა შემოისისინა. ნორა, ასე ერქვა ახალგაზრდა ქალს, ფანჯარას დაეყრდნო და გახურებული შუბლი მიუშვირა ცივ ჰაერს. მტვერიანი ქალაქი უკვე შორს დარჩა. მატარებელი გველივით მისრიალებდა მწვანე ბალახით და ყვავილებით შემკულ მინდორზე. ნორამ თვალი მოავლო ამწვანებულ მინდვრებს, მის წინ ელვის სისწრაფით გარბოდენ ამწვანებული მინდვრები, ხეებით შებურვილი გორაკები. ნორამ მეტის მეტი სიამოვნება იგრძნო, აზვირთებულ ქალაქის ცხოვრებას შეჩვეულს, რაღაც სხვაგვარათ მოხვდა გულზე ასეთი სანახაობა. ის არც თუ სევდამ, არც თუ სიხარულმა მთლათ შებოჭა. მისი გრძნობიერი, ცისფერი თვალები სადღაც შორს, შორს გაიყურებოდენ უსაზღვრო სივრცეში. ფიქრებში გატაცებულ ნორას ათასგვარმა აზრმა გაუელვა თავში. აი მან თვალი მოკრა ხავერდით შემკულ მომაღლო გორაკს, სხვადასხვა ფერად ყვავილებით შემკულ ბალახს ნაზათ აბიბინებს წყნარი სიო, ვეებერთელა ხეს ფოთლებით დაბურული დიდრონი ტოტები ფართეთ გაუშლია და ზანტათ იქნევს, თითქო ეპატიჟება გამვლელთ, მოდით აქ ჩემ ქვეშ, დაისვენეთ, გაიგრილეთ დაღარული გული და დასტკბით ბუნების სიმშვენიერითო. ნორა საშინლათ გაიტაცა ამ სანახაობამ. მან მეტის სიამოვნებისგან თვალები დახუჭა და ოცნების მორევში შესტოპა წარმოიდგინა, თითქო ის ამ გორაკზე ხის ქვეშ წამოწოლილა, სუნნელებით შეზავებული ჰაერი ნექტარივით უვლის სულსა და გულში, წყნარი ნიავის სისინი, ფოთლების შრიალი და ბალახების ბიბინი ციურ ჰანგებათ სწვდება ყურში და გულზე საამოთ ულიტინებს. გარშემო არავითარი სულდგმული არ არის, მხოლოდ ხანდისხან აქა-იქ მოისმის ბულბულის კვნესა, რომელიც ყოველ ამოკვნესაზე აძგერებს მის გულს. ოცნებით გატაცებულ ნორას შეუმჩნევლათ მიუახლოვდა „ის", გვერდით მოუჯდა, ნაზათ ხელი მოხვია და მაგრათ გულში ჩაიკრა. ნორამ ერთი შეჰკივლა და მიბნედილი მიესვენა აძგერებულ გულზე. ის მთლათ მოხიბლა ამ სანახაობამ, ოცნებათ გადაექცა. უცბათ ვიღაცის ცხელი სუნთქვა იგრძნო პირის სახეზე და შეკრთა, თვალები გაახილა. მის გვერდით ფანჯარასთან იდგა ბესო, შავი, უშნო სახე, სპილენძივით გაწითლებოდა, მსუნაგი თვალები ცეცხლივით უელავდენ.

როცა ნორა სარკმელს მიადგა, ბესო ერთხან შორი-ახლო გაჩერებული იყო და რაღაცას ფიქ-

რობდა, რაღაც გაუბედაობა და შიში იხატებოდა მისს სახეზე. მისი მსუნაგი თვალები ხანდისხან ბოროტათ გაიელვებდენ. ის მსუნაგ კატასავით მიაშტერდა ნორას. ნორას მოსულმა ტანმა, ბროლივით გულმკერდმა და ლამაზმა პირის სახემ სულ დავთარი დაუბნიეს მას. ტანში ჟრუანტელმა დაუარა, პირი ააწკლაპუნა და თვალები საზარლათ გაუფართოვდა. მას საშინლათ მოუნდა მოეხვია მისთვის ხელი, მიჰკროდა მის ბროლივით გულმკერდზე მაგრათ ჩაებღუჯა დიდრონი ძუძუები და დასწაფებოდა მის ვარდივით წითელ ტუჩებს. „ყოვლად შეუძლებელია, ეს უეჭველათ ასე უნდა იყოს“ —გაიფიქრა მან—მაშ, ასე უცბათ როგორ დამთანხმდა, როგორ გაბედა მარტოთ-მარტო ჩემთან წამოსვლა. მერე რა, რომ ქალიშვილია, განა ეხლანდელი ქალიშვილები ახალი აზრის არ არიან? მე მომწონს ის, ვგიჟდები, მე მსურს დავსტკბე, ვიგრძნო სიამოვნება. მასაც სურს, რომ არ სურდეს ისე არ წამომყვებოდა. აქ გასაკვირი არაფერია“. მოიგონა ბესომ, როგორ შეხვდა ის ნორას წინა დღით ქალაქის ერთ ბაღში. იქ მათ სხვათა შორის ლაპარაკი ჩამოაგდეს მგზავრობაზე. ნორა თავის ამხანაგი ქალით შენატროდა ბესოს, რომ მას უფასო ბილეთები აქვს და შეუძლია მგზავრობა. ბესომ ბილეთი შესთავაზა. ნორა მაშინვე დასთანხმდა. გადასწყვიტეს მეორე დღეს წასულიყვენ. ნორას მახლობელ ქალაქში უნდოდა წასვლა, გზათ აგარაკ ბაგრიანში უნდა შეევლოთ და იქიდან ქალაქში წავიდოდა. დაპირებისამებრ მეორე დღეს ნორა მართლა მოვიდა სადგურზე და აი მიდიან კიდეც. „მაშ რათ დამთანხმდა ასე ჩქარა? ხომ იცის, რომ ჩვენ ორნი მივდივართ მარტო? ეჭვი არაა უარს არ იტყვის. მაშ საჭიროა აქედანვე დავიწყო საქმე, რომ იქ მისვლამდე ნიადაგი მოვამზადო“. ამ გადაწყვეტილებით ის მივიდა ფანჯარასთან და ნორას გვერდით დადგა. ნორას არც კი გაუგია, ისე იყო ოცნებით გატაცებული. ბესოს საშინელი სურვილი აღეძრა მიჰკარებოდა მის სხეულს, მან ნელ ნელა მიიწია, ჯერ ხელი მიადო მის ხელს, შემდეგ გვერდზე მიეკრა. ნორა კიდევ ვერ გამორკვეულიყო ოცნებიდან. ბეროს გონება დაებნა, მან ანგარიშ მიუცემლათ თავი დახარა, გაგიჟებით პირის სახეზე დააშტერდა და ცხვირის ნესტოები გაებერა. ნორამ იგრძნო ცხელი სუნთქვა, ოცნებიდან გამოერკვა და თვალები დააჭყიტა. მან დაინახა ბესო ასე ახლო, ხელათ მოშორდა ფანჯარას და თავის ალაგას დაჯდა.

— უკაცრავათ! მგონია მე დაგიშალე. მობრძანდით, მანდ ცხელა, თქვენ აქ დადექით და მე დავჯდები.

— არა მიშავს, დავილალე და დავისვენებ. ეხლა ისე რიგათ აღარ მცხელა.

ორივენი გაჩუმდენ. ნორას რაღაც შიშით უცემდა გული, ბესოს შეხედულებამ მისმა თვალების გამომეტყველებამ და მოქმედებამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინეს მაზე, „ნუ თუ უნამუსო ადამიანია? ნუ თუ საზიზღარი რამე აქვს გულში“? გაიფიქრა ნორამ და გულზე რაღაცამ საშინლათ უკბინა.

— ჩქარა სადგურ ბელთუზაზე მივალთ, კარგა ხანს ჩერდება მატარებელი და ცოტას დავნაყრდებით—ცოტა ხნის შემდეგ წარმოსთქვა ბესომ და ნორას გადახედა

— ბაგრიანში როდის მივალთ?

— საღამოს ცხრა საათზე.

ნორას რაღაც ძალიან არ ესიამოვნა ეს ამბავი. ის ისევ ფიქრებმა გაიტაცა. მისი უმანკო, სპეტაკი გული ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ ბესო მის შესახებ ცუდი სურვილებით იყო გამსჭვალული. ვერ წარმოედგინა, როგორ ჩაიდენდა ის ასეთ საქმეს. „არა, ეს შეუძლებელია, ალბათ უცაბედათ მოუვიდა. რა იყო მერე, რომ გვერდზე წამეკრა და ხელი ხელს მოხვდა, ალბათ ისიც ჩემსავით გაიტაცა ოცნებამ, უცაბედათ, შეუმჩნევლათ გადმოიხარა ჩემსკენ და წამეკრა. არა, ის პატიოსანი კაცია, ის არაფერ ცუდს არ იფიქრებს. განა ქალს და კაცს არ შეუძლია მარტოთ იმგზავრონ? განა მართლა მხეცები ვართ, რომ ასეთი აზრები დაგვებადოს? არა და არა“. გაიფიქრა მან და დანანდა, რომ ასეთმა ცუდმა აზრმა გაუელვა ბესოს შესახებ.

ბესო კი, მსუნაგი, მუშტრის თვალით მისჩერებოდა მის მაღალ გულმკერდს, ეშმაკურათ იღიმებოდა და რაღაც გეგმას აწყობდა.

**ირეთელი.**

(შემდეგი იქნება)

*
* *

მიყვარს როდესაც ზღვა ზეთივით სდგას,
მზის სხივებს იკრავს, საამოთ ბრწყინავს,
არც ქარი არხევს, არც გემთა ცურვა,
მყუდროებაში სიმშვიდით სძინავს

—

იგი მიხატავს მე განსვენებას
ძალმომრეობით შორს წადებულსა,
და სევდა ზღუდეთ შემოხვეული
საბრძოლათ იწვევს, მიუძღვის გულსა!

—

მიყვარს კიდევ ზღვა, როცა ბნელ ღამეს
არ ინდობს, აშობს ელვარი მთვარის,
და ცის კრებული ქვესკნელშიდაც სჩანს,
ბუნების დიად სარკესთან არის;

—

იგი მთავაზობს ფრთებს ოცნებისას,
ზედ მსვამს, მიმაფრენს თავდავიწყებით,
იქ სადაც ცხადათ არავინ მიშვებს
და სიზმრათ ვცხოვრობ სიამოვნებით!

—

მაშინაც მიყვარს, ზღვა როცა ღელავს,
ტალღებს შორს სტყორცნის აზვირთებული,

ქარს ეომება, გემთ ეხეთქება,
არა რას ინდობს გაავთრებული;

—

იგი მიხატავს უსწორო ბრძოლას, —
გარშემომტეხთა გამკლავებასა,
ბარბაროსობის ფრთების შეკვეცას
და იმედების აყვავებასა...

რ. ლეჩხუმელი.

## ათინათინდა აღმოსავლეთი. .

(ვუძღვნი უიმედოთ მტირალებს)

I

. ,,ბოლო მოეღო ჩემს ალმაფრენას,
უფსკრულს შთანმენთქო წმიდა გრძნობები,
სვავის, ყორანის ყივილათ მექცა
გულის წარმტაცი ციური ხმები.
ქვეყნის საერთო მეჯლისით მთვრალი
მაშვრალთ კერის წინ გული მეწვიდა,
დღეს კი განგმირულს და ისარ ნატყორცნს
ქვესკნელს ჩამეფლო წმიდათა-წმიდა...
ცხოვრება ტკბილი, ხან კიდევ მწარე
დღეს ჯოჯოხეთად გადამქცევია,
მე ის მიყვარდა... თუმც ცრემლი, სისხლი
მისგან დევნილებს ბევრი ნთხევია
დიახ, მიყვარდა მთელის არსებით
მე მასთან ბრძოლა, მასთან ჭიდილი
მრწამდა მე მისი სამოთხედ ქცევა
და არად მიჩნდა მისთვის სიკვდილი.
მრწამდა შრომის შვილს, რომ დღეს ბედნიერს
აღიგვებოდა კვნესა, ცრემლთ დენა,
მრწამდა, მაგრამ... ოჰ... გაქრა ყოველი...
დავკარგე ყველა... დავკარგე რწმენა.
ანკი მე სულელს როგორ მეგონა,
რომ გარდიქმნოდა ცხოვრება ბნელი,
საუკუნებით გაჭედილ ჯაჭვებს
მიმოამსხვრევდა უძლური ხელი?..
ვცდებოდი თურმე გზა დაბნეული,
კიდეც დამტკიცდა სულ ყველაფერი...
კილო ვყოფილვარ ულონო, მხდალი,
მხოლოდ ბზუილა საბრალო მწერი...
ერთ დროს ამაყი, ამპარტავანი
და უვიცობის საბრალო შვილი,
ეხლაღა მივხვდი, რომ ჯობნებია
წუთი სოფელში ყოფნას სიკვდილი!..“
ასე ფიქრობდა თავჩაქინდრული
ერთ დროს დევგმირი და უძლეველი,
ბუნებაც მისებრ მოღუშულიყო
და იცრემლოდა მინდორ-ტყე-ველი...
მშრომელთ ოფლ-სისხლით გულ დასერილი
ცხარე ცრემლს ღვრიდა ცა მობურვილი ..
პეტრეც გულმკვდარი, სასოკვეთილი
ტიროდა, როგორც უმწეო შვილი.
„რას მოვუცადო, რა მაქვს ამ ქვეყნად?“
კვლავ განაგრძობდა ლონე მიხდილი,—
რისთვის ვიცხოვრო, რა გავაკეთო?
ან კი რას შევძლებ უძლურათ ქმნილი?
თუ რამ გამაჩნდა ნაშრომ ნაღვაწი,
ფერფლათ მიქციეს, დავკარგე ყველა,
ცოლი და შვილი გულზე მომწყვიდეს,
მეც იმ მტარვალმა ჰა—დამანელა...
ტყე-ტყე დავძრწივარ, არ მინდობს არვინ,
დღე-ღამე ჩემთვის მუდამ ერთია...
მშია, მწყურია, მცივა უმწეოს
დღე ჩემი ცრემლთან შენაერთია.
დემონი მისებრ თავს დამხარხარებს
რა კი აზრები მან ჩამიქოლა
და დაფლეთილის გულის მებრძოლი
ნადირთა კერძათ გადმომიქროლა.
ყველამ დამტოვა, უარყვეს ურცხვად
სისხლის მსმელის წინ მოხარეს ქედი,
მაგრამ... ჰმ. . კარგი... კარგი უქნიათ
აკი ეს არის მაშვრალთა ბედი...
უნდა იკვნესონ, დადნენ აქ ცრემლათ,
უარყონ წმიდა, აზრი ცხოველი,
რათა... ხა... ხა... ხა... იქ დაიმკვიდრონ
სამოთხის ბჭენი, სასუფეველი!..
დიახ, ეს არის დამორჩილება,
მაგრამ მე კი მას ვერ ვემონები
და თუ კი ქვეყნად მხოლოთ ტანჯვაა.
მე ეხლავ მიწას ჩავეკონები!..“

II.

ბნელა გარშემო... მიწას დაცრემლულს
გულში ჩაუკრავს შავი წყვდიადი.
თითქოს არ დარდობს კმაყოფილია,
თითქოს არ სურდეს მას განთიადი,
წარბებ შეკრული, უმაჯის ცემით
გამოურკვეველათ ჩაფიქრებულა,
სიცოცხლის ძალა პირქუშის გული
სადღაც გამქრალა, სადღაც ჩაკლულა..
ბნელეთის მეფე შავ ჩადრ მოსხმული
მარდათ დაფრინავს კუპრის ეთერში,
მბრძანებლობს მკაცრი და ხვევს სამყაროს
სინათლის მომსპობ გაურკვევ ფერში.
თავს დახარხარებს მკაცრ სახრჩობელას,
დიდ მუხის ტოტზე გადმოკიდებულს,
ელის რა წამში შავ დროშას გაშლის
და გაიხარებს გაუმაძღარ გულს.
კიდევ მსხვერპლს ელის სისხლათ უძღები
ღრეჭით სისინებს გველი პირ შავი,
დღეს ის ბატონობს და სიცოცხლეს სპობს
ამაყათ დააქვს საზარი თავი. .
პეტრეც იქ არის იმ მუხის ძირში
სასოწარკვეთილ, ფიქრს მიცემული,
მან ჩამოაბა ტოტზე ბაწარი,
მან გაუხარა შავ მეფეს გული.
კიდევ წამი და... უსულო გვამსაც
მაგრად ჩაიკრავს შავად მცქრალი,
გადიხარხარებს ბასრ კბილიანი,
რა მსხვერპლს იხილავს ბოროტი თვალი.

კიდევ წამი და... შავ ცმული მეფეც
თვის გამარჯვებას ამცნობს ქვეყანას,
ძლევა მოსილი სიკვდილთან ერთად
მთა ბარს მოაწვდის სამარის ნანას.

მაგრამ, ჰა... შეკრთა პეტრე უეცრად,
ელვარებს სწრაფად თავს იცა ხელი,
ბაწარს მოშორდა, შიშით გადახტა
რა დაინახა შავ საზარელი:

კბილით მღრჭენავი, გველის მიმოხვრით,
შავ-ყვითელ თვალთ, უშნოდ მღიმარი,
პირ სახე ჩლუნგი, ლურჯი ტუჩებით,
თან ვითომ სათნო, გაუცინარი,

მაგრამ გულში კი თვით ჯოჯოხეთი,
ცეცხლის გენია დაუნდობელი,
რომელს მზათა აქვს შხამით ნაქლენთი
ქვეყნის სატანჯოთ გაწვდილი ხელი...

შავ მეფის სახით მოვლინებული
თვალ წინ დაუდგა პეტრეს სიკვდილი,
გამოურკვევი, რაღაც საშიში,
ყველაფრის მმსპობი კეთილ ახდილი,

და მიუთითა შავ უფსკრულისკენ,
ხელის მოხვევა თან დაუპირა,
მაგრამ ხახა შავს ბედმა უმტყუნა
მსხვერპლი გაუსხლტა და დაუყვირა:

,,შორს ჩემგან შავო! საით მიმყავარ?
მე ნათელს ვეძებ, შენ კი უფსკრულში
გინდა ჩამაგდო, მომსპო, დამღუპო?!.
გინდა ჩამიკრა მაგ საზარ გულში?..

არა, შორს ჩემგან! წადი მტარვალო!..
შორს შენი ხვევნა, შენი ალერსი!..
შენ საზარი ხარ მომსპობი ძალა,
გინდა ჩამარჭო სიკვდილის ნემსი...

მე შენ კი გიცნობ, გიცნობ ვინცა ხარ,
შენ მომიწამლე მე არსებობა,
შენ შემიბილწე წმიდა ტაძარი,
გამიტალახე დიადი გრძნობა!"..

შეკრთა ბნელეთი, განრისხდა მეფე,
ჰექს, ქუხს, ცეცხლს აფრქვევს გააფთრებული..
„ვინ გამიბედა, ვინ ამბობს ამას?
ვინ არის თავზე ხელ-აღებული?

ვინ არის არ მცნობს მე—ქვეყნის პატრონს,
სიცოცხლის მომსპობს, მისივე დამწყებს,
საუკუნობით სიცოცხლე გინთქავს,
ეს კი ვინ არის ძალლივით რომ ყეფს?!".

პეტრემ კი ამ დროს მთას აირბინა,
ზურგი აქცია მან სახრჩობელას,
ყურსაც არ უგდებს შავ მეფის ქადილს
და ესალმება ისევ ცხოვრებას,

„ვერ მოგშორდები, ვერა სიცოცხლევ!
წყეულიმც იყოს მკაცრი სიკვდილი,
თუმც შენც მკაცრი ხარ, მაგრამ იმას სჯობ...
კვლავ მოგიბრუნდი, აჰა, შენ შვილი!..

მაგრამ პირობა შერიგებისას
მე კვლავ ვიბრძოლებ, არ გემონები,
გაგასამოთხებ, ედემს გადარებ
და მხოლოთ მერმე დაგეკონები...

მისთვის ვიბრძოლებ, რომ ის შეგძინო,
რაც სულს დამიტკბობს, ხორცს გამიხარებს,
მაშვრალთან ერთად ბედნიერ გახდილს,
დარდს მომაშორებს, ფიქრს გამიქარვებს...

მაშ შორს სიკვდილი! შორს შავი მეფე!..
ისევ სიცოცხლე და ისევ ბრძოლა!.
ვაშა ცხოვრებას და ფურთხი სიკვდილს!..
ატოკდი გულო, დაიწყე თრთოლა!"..

მეხად გავარდა პეტრეს სიტყვები,
შავი მანტია შავად გაფხრიწა
და შეზანზარდა გული სამყარო,
ბნელეთს გაუსხლტა ცა, დედამიწა''...

შავმა ნაპრალმა პირი დაალო
და შიგა შთანთქა ბნელეთის ღმერთი...
კვლავ გაიშალა დროშა სინათლის,
ათინა თინდა ალმოსავლეთი...

ვ. მალაქიაშვილი.

# მედროვე.

სცენა სწარმოებს სოფელში, ბოქაულის ბინაზე.

**შემოდის ეფრემა.**

**ეფრემა.** ბატონ ბოქაულს სიცოცხლე და ბედნიერება.

**ბოქაული.** გმადლობთ. დაბრძანდით. რაზედ გარჯილხართ ეს მოხუცი კაცი? ხომ არ გაგაჯავრა „ყაზილარებმა?"

**ეფრემა**—(ჯდება) ეჰ! ჩემს გაჯავრებას ვიღა ჩივა ჩემო ბატონო, ნეტა თქვენ არ გაჯავრებდენ თვარა. ძალიან წახთა დროი, ბატონო. აგერ 60 წლის კაცი ვარ და ასეთი წარყვნილი და გაფუჭებული დროი არ მომსწრია. რას მოვესწარი ამას. დეილოცა ღმერთო შენი სახელი და დიდება. ყველაფერს მოველოდი, მარა თუ ასე გაფუჭდებოდა ქვეყანა აღარ მეგონა. ყაზილარებს ვინ ჩივა ბატონო, მოხუცებულებიც რომ ქე გადირია. რას შობიან, რას ბჟუტურობენ ღმერთმა იცის. ღმერთი არააო, ხემწიფე არ ვარგაო. აბა ვინ ვარგა ნეტაი. ღმერთი მაგათ შეარცხვენს მაგენი ან ღმერთათ ვარგოდეს ან ხელმწიფეთ. ყოლიფერს უნდა მოელოდე თურმე კაცი. ამბობდენ მიორეთ მოსვლა მუაო და მევიდა კიდეც. რა უნდა ქნა, ბატონო, კაცმა. უნცროს უფროსობა აღარაა, ეკკლესიაში სიარულს და პირჯვრის წერას დიეთხოვენ, მთავრობა ფეხებზე კიდიან, ძველი არაფერი არ ვარგაო, თავის არაფერი იციან, სხვისას არ ჯერვენ და ქე იქცევა ასე ქვეყანა. ვინაა პატრონი. ყაზილარებმა რავა უნდა დააქციონ ასე ქვეყანა.

**ბოქ.**—თქვენი ბრალიც კია. რატომ აქამდი ხმა არ ამოიღეთ ჭკვიანმა და პატიოსანმა კაცებმა? რატომ ვერ მოუარეთ თქვენ შვილებს რომ არ წამხთარიყვენ და ვიღაც „მეგვიმბრია" ყაზილარებს არ აყოლოდენ?

**ეფრემა**—რატომ იტყვი ბატონო. ჩვენ რა შეგვიძლია ბატონო. ჩვენ რომ ერთი ენა ვთქვათ, მაშინვე მოგვკლავენ ბატონო.

**ბოქ.**—თქვენ ვერავინ ვერ მოგკლავთ. ვერაფერს ვერ გაგიბედავს. მარა თქვენ იგი გინდათ რომ ასე იყოს. თქვენ ყველამ იცით ვინ რას შვება მარა ერთხელაც არ გითქვამს ჩემთვის არაფერი. ერთხელაც არ გეცნობებიათ და არ გითხოვიათ ჩემთვის დახმარება, ის კი არა თქვენც აყევით „თმაგრძელა ქკუა მოკლე" ბავშვებს და იმათსავით იძახოდით: „გაუმარჯოს და ძირსო". განა მე არ ვიცი, რომ შენი სახლიკაცი შენსავით მოხუცებული ყოველ საღამოს კრებაზე დაიარება და ჩემი სიკვდილის გადაწყვეტილებასაც კი დაესწრო! დიახ ვიცი, ვიცი. მაგრამ თუ არ მოვკვდი მოვიგდებ ხელში. მე ვაჩვენებ როგორ უნდა სიკვდილის გადაწყვეტა. თუ კარგია სიკვდილი მასაც ვაგრძნობინებ. დიახ თქვენ ასეთები ხართ ყველა. ჩემთან თავს იკატუნებთ და როცა ჩემგან წახვალთ, ჩუმჩუმათ კრებებზე დაძვრებით და ბოიკოტებს აცხადებთ. ვითომდა მე მატყუებთ. ვიცი ვიცი თქვენი ხრიკები. მარა ისეთ დღეს დაგაყენებთ, რომ სიკვდილს მოგანატრებთ, დაბადებას დაგაწყევლინებთ. ჩემ მოკლას ვინ შეგკადრებთ თქვენ უბედურებო. მე რომ მომკლათ მთელ სოფელს ამოწყვეტენ და მოსპობენ. მარა ეს დღე არ მოგესწრებათ თქვენ. (დადის).

**ეფრემა**—მე რას მერჩი ბატონო. ყველა ერთი ჯოხით არ გაიდენება, ჩემისთანა ერთგული თქვენ მეორეც არა გყავთ. მე, როგორც კი გავიგე, რომ „მაირს" ბოქაულის სიკვდილი გადაუწყვეტიათ, მაშინვე ესეკ არის თქვენთან გიახელი რომ შემეტყობინებია. მე ყველაი ვიცი ვინ არიან „მარიში" და მათი სიაც წამოვიღე. მე რომ თქვენი ერთგული არ ვყოფილიყავი მეც იმ კრებაზე წავიდოდი ბატონო, სადაც ჩემი სახლიკაცი იყო. ჩემი სახლიკაცი რომ ამფერი იყო და კაი ხანია დასაჭირავი იყო ეს მე თვითონ მოვახსენე თქვენს მოადგილეს, მარა ყურადღებაც არ მიაქცია. ის კი არა გამამელავნა კიდეც და ერთ საღამოს კინაღამ მომკლეს ტერორისტებმა. მარა დიდება ღმერთს დიდება. ჩემმა სიმართლემ გადამარჩინა თვარა ახლა საიქიოს ვიქნებოდი.

**ბოქ.**—მაშ შენც გაიგე რომ მე მოკლას მიპირებენ? სიაც მოიტანე? ეს ძალიან კარგი გიქნია. არ დავივიწყებ შენს ერთგულებას.

**ეფრ.**—მე ბატონო მუდამ ერთგული ვიყავი მთავრობის. ერთი წელიწადი მილიციაში ვიმსახურე. ახალციხის ოლქში პირველი ვიყავი. მერე კიდევ სტრაჟნიკების უფროსათ ვიყავი ხუთი წელი. შემდეგ კიდევ დიდ დახმარებებს ვუწევდი მთავრობას. ყველა ის ყაჩაღები რომ ამოხოცეს ჩემი წყალობა იყო. მე ყველა თქვენს მოადგილეებთან შინაური კაცი ვიყავი. უჩემოთ ფეხს არ გადადგამდენ. მარა შენს მოადგილეს ვერ მოვეწყვე. მასთან აფერი არ გამივიდა. ის ნამდვილი იგენის მხარე იყო. ოი ღმერთი წეიყვანს უკუღმა მის საქმეს, რავარც კი წევიდა ისე, მე იმან კინაღამ დამღუპა შენ, ბატონო, იმედი მაქვს ისე არ მომეპყრობი. შენზე ამბობენ ნამდვილი ხელმწიფის ერთგული კაციაო და მეც ამიტომ გიახელი რომ დაგეხმარო. დახმარება კი შემიძლია ბატონო თუ კი იკადრებ ჩემს გაპირებას. მარა თუ შენც ისე მომექცევი როგორც შენი მოადგილე რა უნდა ვქნა. თქვენ იცი და თქვენ ღმერთმა.

**ბოქ.**—შენ ფიქრი ნუ გაქვს. შენისთანა ჩვენ ბევრი გვყავს, მარა ჩვენ ყველას ვპატრონობთ და ვიცავთ. მათ სამსახურს არ ვივიწყებთ და კიდევ ვაჯილდოვებთ შენ ფიქრი ნუ გაქვს. აბა მომიყევი ერთი რა იცი ჩემი სიკვდილის შესახებ (ახლოს მიუჯდება).

**ეფრ.**—მე ბატონო, რომ მოგატყუო რა საკადრისია, სულს ვერ წავიწყმინდავ და თვით არ ყვოფილვარ კრებაზე, მარა ისეთი საიმედო კაცი მყავს რომ ის ყველაფერს ტყობილობს და მაშინვე მე მეუბნება. მას გაუგებელი არაფერი არ დარჩება. მას ისე უყურებს „მაირის კაცები" როგორც თავს თავ კაცს. მართალია ის მეორე მხარეს ეკუთვნის დასწყევლოს ღმერთმა მაგათი თავი და ტანი. მაგენი თურმე ბევრი პარტია ყოფილა. აგენი თქვენი სიკვდილი რომ გადაწყვიტა დემოკრატიას უძახიან და იგენს რევოლიუციას. მარა ახალს საქმეში ორივე თანახმა ყოფილა.

**ბოქ.**—ვინ არის ეს შენი საიმედო კაცი? იქნება გვატყუებს ან გვღალატობს. უნდა გამოგვტყუოს რამე!

**ეფრ**—რას ბრძანებთ, ბატონო. ეს თქვენ რომ გიქნას მე რავა მიზამს. ჩემი სიძეა. მეორე შვილია. მამასავით უყვარვარ და რავა გამიმეტებს. ის კი არა გაეგო თუ არა ამბავი მაშინვე დამიბარა და თქვენთან გამომგზავნა რომ მეცნობებია. ის ძალიან გამოცდილი კაცია ბატონო. მისთავზე წისქვილი არ დაბრუნებულა თვარა, ისე არაფერი დაკლებია. ერთხანს მას უნდობლათ უყურებდენ მარა, როცა იმ პარტიაში ჩაეწერა მერე დიდ საიმედო კაცათ მიაჩნიათ და არაფერს არ უმალავენ. ესეც ისეთი გამოცდილი და მოხერხებულია და ისე აჩვენებს თავს, რომ ვითომ იგინიზა თავს შესწირავს. ღმერთი იმათ უშველის ისე. ჩემმა სიძემ იგენს თავი შესწიროს. რაის გულიზა ბატონო. ჭამა აკლია თუ სმაი. ფული ბევრი აქვს სახლი და კარი. ამ ჩემს გათეთრებულ წვერებს, რომ ჩვენისთანა საიმედო კაცებს თქვენ ვერ იშოვით. თქვენი მარჯვენა ხელი ვიქნებით და იმედი გვაქ არც მოგვაკლებ თქვენს ყურადღებას.

**ბოქ**—შენ ფიქრი ნუ გაქვს. შენ შრომას ერთი ორათ დავაფასებ. შენ ძალიან კმაყოფილი იქნები ჩემი. აბა მომიყევი ერთი რა დაგაბარა და რა გითხრა შენმა სიძემ.

**ეფრ.**—გუშინ წინ, ბატონო, მე ისე გეტყვი როგორც ჩემა სიძემ მითხრა, არც მიუმატებ და არც მოუკლებ ერთ სიტყვას, გუშინ წინ, სოფელთ მომხდარა „მიორის" კრება. რომ არავის გაეგო

კრება ეკლესიაში ყოფილა. ბევრი ულაპარაკიათ აქეთური იქითური მე რაფერ ვიტყვი იმას. იგენი დუნიას გააჯერებენ და ბოლოს გადაუწყვეტიათ რომ პრისტავი უთუოთ უნდა მოვკლათო. ამოურჩევიათ კიდევ კაცი რომელმაც უნდა გესროლოს თოფი. ეს კრება იქაურ ხუცებსაც ცოდნია. ეკლესიის კლიტე მას მიუცია. ის ხუცესი თურმე თელათ მათი მხარეა. რასაც იგენი ეტყვის იმას აკეთებს თურმე. წირვის დროს ხემწიფეს კი სულ არ იხსენიებს თურმე. ხემწიფობა აღარააო. ახლა ხემწიფე ახალი თაობააო. ყოველ დღე ახალი თაობიზა წირავს თურმე. კრებაზე სულ ის თავმჯდომარეთ და სულ რეჩებს ჩივა. ახალი თაობა მისას ხშირათ ათევს ღამეს თურმე იგენის ყველაის უფროსი ყოველ ღამე მისას ათევს ღამეს.

**ბოქ.**—ეს ძალიან სასიამოვნო ამბავი მომიტანე შენ ჩემო მახარობელ. იმ ღვდლის მოცილება ჩემი საქმე იყო. ის ავაზაკი ისა. მე ვაჩვენებ იმას თუ ვინა ვარ მე. მის ახალ თაობას ოხრათ მოუქცევ. დამაცადოს მე იმას ის განა ასეთია. მეც ვატყობდი რომ არ იყო რაღაც სახეირო კაცი. ის მგონი პეტრეს მოგვარეა, არა?

**ეფრ.**—დიახ ბატონო პეტრეს. პეტრე! ჰმ! იმას მოსთხოვოს ღმერთმა ჩვენი შვილების დაღუპვის ცოდვა. მან დაღუპვა ჩვენი სოფელი. მან დააქცია და გარყვნა ქვეყანა. ის ბუდეა მთელი ახალი თაობისა· ყველაი მისას იყრის თავს. ეგზავნება იქით აქეთ. აძლევს ფულს. აჭმევს ასმევს. ისე გეიკეთა საქმე რომ მის წინააღმდეგ რომ რამე თქვა მაშინვე გაწამებენ, ენას მოგჭრიან, მთელი ახალი თაობა დაგეხვევა და ჯვარს გაცმევენ. მაგი რომ არ ყოფილიყო აქანაი მაშინ აბა რა გვიჭირდა. თითო ოროლა ყოველ დღეა მასთან· იქ წყდება ყოველიფერი უბედურება. იქ ინახავენ თოფებს, ბექდებს, პროკლამაციაა თუ რაღაც ოხრობა, ბოიკოტს იქ წყვეტენ და ყოლიფერს. იგი ღვდელიც მაგან გააფუჭა. მოყვარეა მისი და დეიარებოდა ბატონო მისა და იქინეი ყველა ეს ბუნტოჩიკები შეხდებოდა და დღეს ხვალ, დღეს ხვალ და ქე გადაიყვანეს მის ფხარზე ხუცესიც. ჩემი სიძის გადაყვანაც მოინდომეს მარა ისემც ღმერთი უშველის მათ. ეს ჩემი სიძეც დიდი მოხერხებული კაცია. ჯერ ისე მოაჩვენა თავი ვითომ უნდოდა მათ ფხარეზე გადასვლა, მარა როცა გაიგო ყოლიფერი მერე სიახლოვეს აღარ წაკარებია ის მათ. ახლა ექადნიან მარა, თუ თქვენ მოწყალეთ გვეყოლებით, რას დაგვაკლებენ. ჩემმა სიძემ დამაბარა რომ გადაეცი პრისთავს, რომ პეტრეს ძალიანი თვალ-ყური ადევნოს და მის სტუმრებსაო...

**ბოქ.**—ყოჩაღ მახარობელ. შენ მართლა რომ ძვირფასი ფეშქაში მომიტანე. შენ სიძეს ფიქრი ნუ აქვს. პეტრეს სეირს მე შემოგასწრებ. მაშ ასე. განა პეტრე ასეთი კაცია. მე ის ჭკვიანი საიმედო კაცი მეგონა.

**ეფრ.**—საიმედო? ღმერთმა გაშოროს ბატონო. საიმედო კი არა ისე დაგკლავს რომ ვერ გაუგებ. რამდენი კაცი დაღუპა იმ წყეულმა. ისე ყავენ აშვებული ახალ თაობას. აგზავნიან იქით-აქეთ, დარიგებული ყავენ რომ თქვენისთანაებს საიმედო კაცათ მოაჩვენოს თავი, გამოტყუოს რამე, გაიგოს საით მიდიხართ მოდიხართ. და მერე შეატყობიოს იგენს და იგენი ტერორებს გაგზავნიან და აკვლიებინ ალალ მართალ კაცებს. მე რომ მკლავდენ თურმე სულ მისი მოწყობილი იყო.

**ბოქ.**—რავა უცბათ მოტყუვდება კაცი როგორ საიმედო კაცი მეგონა მე პეტრე. კარგი, კარგი. (დადის) ეს დიდი ამბავი გავიგე. (შეჩერდება) შენ არ დაგითავებია ჩემი სიკვტილის გადაწყვეტის ამბავი.

**ეფრ.**—ხო, იმას ვამბობდი, როცა გადაუწყვეტიათ სისრულეში მოყვანა ანტონაის ბიჭი...

**ბოქ.**—ანტონაის ბიჭი ვილაა? (ახლო მიუჯდება)

**ეფრ.**—ანტონაი ბატონო ჩემი სიძის მეზობელია. როცა ბიჭი სახლში მოსულა საღამოს, რაცხა არეული და ძალიან დაფიქრებული ყოფილა. ანტონას საცხაიდან შეუტყვია რომ მისი ბიჭიზა ასეთი საშინელი საქმე დაუვალებიათ. ბევრი ურჩევია შვილიზა, კიდეც შეხვეწია, კიდეც უტირია, მარა ვერ დაუშლია. მაშინ მისულა ჩემ სიძესთან უთხოვნია რომ შენ საიმედო კაცათ გიყურებენ თან პატივს გცემენ და ასეთი საშინელი ამბავი მემართება და ერთი გადმეიარე ჩემსას, იქნება გითხრას იმ ბიჭმა რამე და ან იქნება დააჯერო რამეო და ჩემი ოჯახი იხსნა ამ უბედურებიდანო. ჩემ სიძეს არ უნდოდა ჯერ წასვლა, რადგან ანტონაი მისი მოსისხლე მტერი იყო. ორმოცჯერ საზღვარზე ჩხუბი და უბედურება მოსვლიათ და საჩივარი ახლაც სუდშია, მარა რომ გაეგო მართალი და თქვენთვის ეცნობებია, მისულა ანტონაისას და გამოუხმია ბიჭი. ბიჭს არაფერი არ დაუმალავს მისთვის და უთქვამს: რა ვქნა დედ-მამაც მეცოდება, ძმები და დებიც, მარა დიდმა კომიტეტმა გადასწყვიტა და უთუოთ სისრულეში უნდა მოვიყვანოო, მას ყველაი დაუსახელებია, თუ ვინ იყვნენ კრებაზე და აი ეს სიაც თან წამომატანა ჩემმა სიძემ. (აძლევს სიას). გადაწყვეტილება თუოთ სისრულეში უნდა მოვიყვანო. რა ვუყო დედ-მამას თუ ერთი მხეცი ხალხს აწუხებს, რატომ არ უნდა მოვიშოროთ თავიდანო. წუხელის მთელი ღამე ბოგას ქვეშ უდარაჯე გამეიარდა მეგონა მარა, აღარ გამეიარა მის ბედზე თვარა დღეს იქნებოდა ძაღლების საჭმელათო. მარა სულ ერთია. პეტრემ შემატყობია რომ ზეგ ქვევით მოდისო და დავხდები და შენი მტერი აღარ დაბრუნებულა ის ველარ დაბრუნდება შეტი აქეთო. და ეს ისე სიცილ-ხარხარით უთხრა თურმე რომ ვითომ კაცის მოკლა ხაჭაპურის ჭამა იყოს. ასე წაახთინეს ქვეყანა ამ შერჩვენებულმა ახალმა თაობამ. ბიჭი შეხვეწია ჩემ სიძეს რომ ანტონაი დააჯერე ვითომ მე არაფერს არ ვშობი და ეს ყოლიფერი სიმცრუეაო. ჩემი სიძე დიდხანს ეხვეწა თურმე, მარა როცა არაფერი გავიდა, დამიბარა და ესეც არის შენთან გამომგზავნა რომ შეგატყობიო და ზეგ არ წახვიდეთ სადაც აპირებდით.

**გრ. ურ.**

(შემდეგი იქნება)

იუმორისტული განყოფილება

# :: ეშმაკის მათრახი ::



**მოხსენება.**

**შახი.** ბ-ნო მინისტრო, როგორ არის ხაზინის საქმე! ხომ შეგვიძლია ბრძოლა ვაწარმოვოთ.
**მინისტრი.** თქვენო აღმატებულებავ ხაზინის მდგომარეობა ერთობ სასურველია. იქ უკვე არსებობს ბრძოლა მშიერი თაგვებისა.

## საეშმაკო ჩარჩევტი.

(სულთანის სიყვარული).

ერთობ საინტერესო დროში ვცხოვრობთ, ჩემო მკითხველო! აბა თუნდა წარმოიდგინეთ ეს კვირიდან-კვირამდე ხომ სულ რაღაც შვიდიოდ დღეა და ამ მოკლე დროს განმავლობაში რამდენი თავბრუ დამხვევი ამბავი ხდება ჩვენი პატარა პლანეტის ამა თუ იმ კუნჭულში!

ბევრს ეგონა სულთანი აბდულ გამიდი საბოლოოდ დაგვირგვინდა ქ-ნ „კონსტიტუციაზე“ო, მაგრამ მწარეთ მოსტყუვდენ. განა შეეძლო სულთანს იმ მეუღლის ერთგულება, რომელიც თავისუფალი ქცევისათვის ახალგაზრდობის დროს გააძევა, რომელზედაც ახლა ძალათ დასწერეს ჯვარი და რომელმაც სულ დაუფრთხო დანარჩენი ცოლები? დიახაც რომ არ შეეძლო და მუდამ იმის ცდაში იყო: ან მოეწამლა და მოეკლა ეს დაუპატიჟებელი სტუმარი, ან მისი თავ აშვებული პარპაშისათვის ფრთები შეეკვეცა. სულთანი ძლიერ ჭკუიანი კაცია და ამას რასაკვირველია ჩუმათ შვებოდა. სიბნელე მას ძლიერ უყვარს და ბუისა არ იყოს სიბნელეში უკეთაც ხედავს.

და აი პირველ აპრილს კიდევაც გამოუცხადა აშკარათ ქ-ნ კონსტიტუციას: „უკაცრავათ თუ არ ვიყოთ მიბრძანდით, ჩვენი ერთად ცხოვრება ერთობ მოუხერხებელია:

„რათ შემიყვარებ? განა არ ვიცი,
შენ ჯერ ნორჩი ხარ მე კი ოხუცით".

თუ ნებით არ მიბრძანდებით, მაშინ ძალისაც ვიხმარო", და წარმოიდგინე, მართლაც გამოუჩნდენ მოხუცს ერთგული მოყმენი. ქ-ნი კონსტიტუცია ერთობ დარცხვა და შეწუხდა. მეტი რა გზა იყო, უნდა აეკრა გუდა ნაბადი და გაქცეულიყო, მაგრამ ქირისუფლებმა თავს იდვეს მისი შეურაცხყოფა და სულთანს თითი დაუქნეს. ქირისუფლები კონსტიტუციას ერთობ ბევრნი აღმოუჩნდენ და მასთან ერთად უნდა იცოდეთ სულ ახალგაზრდა ოსმალები. ცეცხლებს აფრქვევენ იმათი მრისხანე თვალები და მოხუც სულთანს დიდი ხათრი აქვს იმათი მრისხანებისა. აკი პირველათვე, თუმცა იძულებითი ქორწინება იყო, მაგრამ მოხუცი სიძე ახალგაზრდა ოსმალებისა, საოცრად დაუმეგობრდა ახალგაზრდა მოყვრებს და უთხრა:

— განა არ იცით საყვარელო შვილებო, რომ მე ქ-ნი კონსტიტუცია გულით მიყვარს და თუმცა მოვიშორე, მაგრამ ეს დროებით ვიდრე დაქალდებოდით.

ოოო! დიდი ეშმაკი კაცია აბდულ გამიდი! მაგრამ არც ახალგაზრდა ოსმალები არიან ქკუაზე ხელ-აღებულნი. მართალია ისინი ყველანი ქართველები არ არიან, მაგრამ ქართული ანდაზის აზრი კი კარგათ ესმით:

—„ფიცი გვწამს, ძვირფასო სიძევ, მაგრამ ეს ბოლო გვაკვირვებსო: (და მართლაც ბოლო სულთანს უფრო მელური აქვს, ვიდრე „ივერიის" იეზუიტს კ. თუმანოვს). ამიტომაც იყო, რომ ახალგაზრდა ოსმალოები მრისხანე მაყრულით მოადგენ სტამბოლს და იმღერიან:

„მოვდივართ, მოგვიხარიან
მოგვყავს წითელი ხოხობი...
აბა გვიჩვენეთ, ვინ არის
თავისუფლების მომსპობი.
ვინ გაირისხა ალლახი,
რათ ჩამობნელდა სტამბოლს,
გვიფრთხილდენ არარიები,
ზურგზე ავალენთ მათ ბოლსა"-ო

ამის გამგონე აბდულ გამიდი რასაკვირველია სიყვარულის გრძნობით აღივსო ქ-ნ კონსტიტუციისადმი და განიზრახა მეგობრულად გადაეკოცნა ის, მაგრამ ამბობენ კონსტიტუცია დაჟინებით მოითხოვს სულთანის განშორებასო.

—

(შახის სიყვარული)

რაღა აბდულ გამიდი და რაღა მაგომედ ალი! სპარსეთის „მბრძანებელს" ქ-ნი კონსტიტუცია ვერ იქნა და ვერ შეაყვარეს. მართალია ხანდისხან გაუვლის გულში ტრფობის ეშხი, მაგრამ ეს მხოლოდ რამოდენიმე წამით!

ეს იმიტომ, რომ სპარსეთის პატარძალს ისეთი გავლენიანი და ძლიერი ქირისუფლები არ გამოუჩნდენ, როგორიც ოსმალეთის ქალბატონს. შახიც ერთობ მკაცრი გამოდგა მასთან ანგარიშის გასწორებაში და განშორების ჟამს ისე უდიერათ მოექცა, რომ არა თუ ახალგაზრდა ქალი, იმას ვაჟკაციც ვერ აიტანდა. მას შემდეგ ქ-ნი კონსტიტუცია ჯერ ფეხზე ვერ წამოდგარა.

თუ დააცალეს ძალ-ღონეს კი იკრეფს და თუ ფეხზე დადგა, შემდეგ ძნელათ წაიქცევა.

გუშინ წინ ქ-ნ კონსტიტუციას საშიშარი სიზმარი ენახა; ამბობენ ეს სიმშილის ბრალია, მაგრამ ვინ იცის, რადგან სიზმრები ჯერ-ჯერობით საიდუმლო მოვლენას წარმოადგენენ და მათი ახსნა განმარტება ეშმაკსაც კი ეძნელება.

— თავრიზის ქუჩაში ვიწექი, მოგვითხრობს ქ-ნი კონსტიტუცია, და უცაბედათ მიმძინებოდა; ალბათ დღალულობისაგან! სათარხანი იქვე მახლობლათ თავისს ფიდაიებთან მუსაიფობდა ეინ-უდდოვლეს წინააღმდეგ გალაშქრების შესახებ. ქალაქში სრული მშვიდობიანობა იყო.

უცებ მოისმა საშინელი წივილ-კივილი. ხალხი სადღაც შეშლილივით გარბოდა. წამოვიწიე ასადგომათ, თქვენც არ მომიკვდეთ! ადგილიდან ვერ დავიძარი. სათარხანის რაზმიც გულ-ხელ დაკრეფილი იდგა და მხოლოდ იდგა. ხალხი კი გარბოდა, წივილ-კივილით გარბოდა. მოვინდომე მეკითხა ვისმესთვის,—ენა ვერ დავსძარი, ყურიც არავინ მათხოვა. მხოლოდ მესმოდა გულსაკლავი წივილი:

—უშველეთ თავს, ცოფიანი დათვი, ცოფიანი დათვი, ცოფიანი დათვიო!

კანკალი დამაწყებინა. დავლა დაცემულსავით ადგილიდან ველარ ვინძრეოდი. გამოირკვა: ქალაქში ჩრდილოეთიდან ცოფიანი დათვი შემოჭრილიყო და ყველაფერს მუსრს ავლებდა

— ღმერთო ჩემო! რა მეშველება, ხომ შემჭამს მეთქი, ვფიქრობდი გულში. ქუჩები სულ დაიცალა. დავინახე მტვერი; საშინელი კორიანტელი იდგა და გამმაგებული მხეცი პირდაპირ ჩემსკენ მოიწევდა. გაგონილი მქონდა: ძლიერ უყვარს მას კონსტიტუციური ხორციო. წამოვიწიე მაგრამ ველარ ავდექ და უგრძნობლათ დავეცი...

გრძნობაზე რო მოვედი და თვალები გავახილე, დავინახე იქვე, ჩემს მახლობლად მწოლიარე მხეცი. ღმერთო ჩემო, რა საშინელი სანახავი ის

იყო! თითა არშინი კბილები და ჯამის ოდენა თვალები საშინელ გამომეტყველებას აძლევდენ მის მხეცურ გაუმაძღარ სახეს.

უცებ თვალი გაახილა, დამინახა და თავზე დამეძგერა. გუშინ თურმე მკვდარი ვეგონე. ალმასივით კბილები ყელში ჩამისო და მახვილ კლანჭებიანი თათი მაგრა თავში ჩამკრა...

ვიკივლე და გამომეღვიძა. თავრიზი ისევ ძველებურათ ცხოვრობდა: სათარ-ხანი ისევ თავისს რაზმს ევლებოდა, ხოლო ხალხი ყოველ დღიურ ქირ-ვარამზე ზრუნავდა.

მე კი ის საშინელი სიზმარი მწარეთ ჩამექრა გულში. მართალია ცრუ მორწმუნე არა ვარ და სიზმრების არაფერი მჯერა, მაგრამ ეს ოხერი გული მაინც ვერ დავაწყნარე.

ეშმაკი.



# კვირიდან კვირამდე

შენი თავი არ მომიკვდეს, ძვირფასო მკითხველო, აღარ მახსოვდეს როგორ მოხდა: ჯერ „პატრიოტული“ მანიფესტაციები დაიწყო და მერმე სახალხო, თუ ჯერ სახალხო და მერე პატრიოტული; ეს იმაზე მოგახსენეთ, რომ „ჩვენი საქმის“ სიტყვით ბათუმელ ქეშმარიტებს უკვე დაუწყიათ მანიფესტაციები და ვინ იცის, შემდეკ იქნებ პატივცემულმა მოქალაქეებმაც ინებონ მეთქი. მაგრამ ეს აღარ მახსოვს, რომელი რომელს მოსდევს. დასწყევლოს ეშმაკმა, ქათმისა და კვერცხის გაჩენისა არ იყოს, აქაც ძნელია თავის გართმევა.

* *
*

თუმცა ამას კიდევ ეშველებოდა რამე ღმერთს რომ ამდენი გულუბრყვილო მრევლი არა ყავდეს. ბ-ნებო! სირცხვილია თქვენმა მზემ, სხვა რომ არა იყოს რა! „მგლის თავზე სახარების კითხვა“ რომ ვერაფერ სარგებლობას ვერ მოუტანს ქრისტიანობას, ეს კარგათ სცოდნიათ ჩვენ წინაპრებს, მაგრამ ე დალოცვილი „გეორგიას“ წევრები როგორ ვერ დარწმუნდენ ამ უბრალო საქმეში. მათი საზოგადოების მგელი თაობიდანვე ტყეში იცქირებოდა, როცა სახარებას უკითხავდენ, ხოლო წევრები ჯერაც ვერ გამორკვეულან და თუმცა ნეტარ ხსენებული „გეორგიის“ მხოლოდ „РОЖКИ ДА НОЖКИ“ დარჩათ, მაგრამ სახარებას მაინც კითხულობენ და კითხულობენ. ბ-ნი ყ. ნინიძეც ამაზე მოსთქვამს გაზ. ,,ჩვენ საქმეში‘‘ და სასაცილო ის კი არ არის რომ მოსთქვამს მიცვალებულის შესახებ, არამედ ისა, რომ იმედიც ჰქონია ,,გეორგიის‘‘ ყვაას კაკალი გაავდებიოს: ,,ნეტარ არიან მორწმუნენი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ სასუფეველი ცათა‘‘ ცნობილ მეხუზლას კი არა „დროების“ კორესპოდენტებმა უფრო პატიოსან პირებსაც გადაჰკრეს, მარა

* *
*

რომელი გიჟია ხმა ამოიღოს. სილოვან ხუნდაძემ ამოიღო ხმა „გარდანქეშანის“ ფელეტონში ავათ ხსენებაზე და დაუწერეს: „შენი ადგილი მეგობარო, საავათმყოფოშიაო“. ეს რო ქეშმარიტებაა სილოვანმაც კარგათ იცის, მაგრამ ვინ „ალუზარდოს მამულს ღირსი შვილები, თუ არ ავათმყოფმა სილოვანმა? გაზეთი „დროება“ საშინლათ გამოკეთდა თქვენმა მზემ! ის ეუბნება სილოვანს: შე კაი კაცო, ჩვენ რაღაც წავიხუმრ-წავისულელეთ, ამაზე განა ღირდა ლანძღვა-გინებაო“. სრული ქეშმარიტებაა, მაგრამ „ჩვეულება სჯულთ უმტკიცესიაო“ და სილოვანმაც რო სილოვნური არა ქნას, ეს ხომ შეუძლებელია

* *
*

და ისე შეუძლებელია, როგორც ვაჟა-ფშაველა—გაჩეჩილაძის სადაო საკითხის გარჩევა. „დროების“ მეფელეტონე „გარდანქეშანი“ სწერდა, სილოვანის შეურაცხმყოფელ ფელეტონში, რომ „ქართველ მწერალთაგან აპოლონმა ვაჟა-ფშაველა მოიტაცაო“. თურმე ნუ იტყვით, ჩვენი პოეტი აპოლონს კი არა სამსონ*) გაჩეჩილაძეს მოუტაცნია. შეიძლება „გარდანქეშანს“ სამსონ გაჩეჩილაძე მართლა ეგონა აპოლონი, მაგრამ ეს რომ ასე იყოს, მაშინ მიხა ფირცხალავა აღარ შესცდებოდა მოციქულობის დროს. ყოველ შემთხვევაში დავა ქანქარის საკითხს შეეხება და თუ მიხა *) ფირცხალავა მართალია, მაშინ ვაჟა-ფშაველაა მტყუანი და თუ ვაჟა-ფშაველა მართალია, მაშინ სამსონ გაჩეჩილაძეა მტყუანი. საზოგადოთ ძნელი მისაკვლევია სად მარხია ეგრეთ წოდებული ძაღლის თავი,

*
* *

რადგან ქართული თეატრის გულ-შემატკივარნიც კარგა ხანია ეძებენ დამარხულ „ძაღლის“ თავს.

---

*) ავტორი სცდება აქ სახელებში სამსონ ფირცხალავაა, ხოლო მიხა გაჩეჩილაძე.

ეშმაკი.

გაზეთმა „დროებამ“ ალგვითქვა ამ საკითხზე ხშირათ მოვათავსებთ წერილებსაო, მაგრამ ჯერ არაფერი დაუბეჭდია. სჩანს „Раскопки“ შეუჩერებიათ, მაგრამ როგორც ვიცით, აღნიშნული „თავი“ სულაც არ არის დამარხული, როგორც ეს ბევრსა ჰგონია. მცოდნე პირები ამბობენ: „ის მაინც თავი დამარხული რომ იყოს, არც ამდენათ საზიანო იქნებოდა და მისი ამოთხრაც მხოლოდ დანაშაულობაო“. ვინ იცის, ამაში იქნებ მცირეოდენი სიმართლე მაინც იყოს,

*
* *

მაგრამ ის კი სრული ჭეშმარიტებაა, რომ სახალხო სახლის ქართულმა დასმა ჩინებული გაკვეთილი მისცა „ძაღლის თავების“ მაძებართ. ეს გაკვეთილი გახლდათ გოგოლის პიესა „რევიზორი“, ამ წინაზე სახალხო სახლის სცენაზე წარმოდგენილი. თუ რასაკვირველია „ახალი ცოცხის“ ამბავი არ გამეორდა შეიძლება, ქართული სცენისადმი ჩვენი საზოგადოების გულ-გრილობა ქორი გამოდგეს.

ბაცილა.



# იგავი.

ერთ თფილელ „იკარიელსა“
უცხო სიზმარი ეზმანა,
და დასწვა მისი არსება
სიზმრისა იმის ეშხმანა.
ნახა, რომ იმის ცილინდრში
უცხო მანქანა ბრუნავდა
და ძალა უზენაესი
მის გასაფრენად ზრუნავდა ..
ბორბლების ზუზუნ-გუგუნი
ჰკოცნიდა ყურთა სმენასა,
თავ ბრუ დასხმული ,,იკარი‘‘
ველარ აძრევდა ენასა.
ფეხზე ეკიდა ყოველი
საფრენი ხომალდ-ნავები...
,,ის იყო მისი ცილინდრით‘‘
ჰაერის დამმონავები.
ამბობდა: ,,მადლი მეუფეს,
რაკი მისრულებს წადილსო,
გავკვეთავ ცისა კამარას,
მარსზე მივირთმევ სადილსო.
იუპიტერზე რძეს დავლევ
და დავაყოლებ ღვინოსო,
სატურნზე ქეიფს გავმართავ
ხალხმა რო მოილხინოსო.
ურანზე აღარ შევდგები,
არც ნეპტუნს ვინახულებო
მზეს მივაშურებ, ისევე
მნათობზე ვიზაფხულებო‘‘.
სთქვა და აიღო ცილინდრი,
გრძნობა სიჰარბით ბნდებოდა,
დამთვრალი ნეტარებითა
სამგზავროთ ემზადებოდა.
საჭე მომართა, აიღო
გზა მარსის მისაყუდები...
ფიქრობს იშოვოს სხვათათვის
ამის მაგვარი ქუდები.
აბრუნდენ თვლები!! იკარიც
ცის სივრცეს მიესამარა,
მარსისკენ მიეჩქარება
თავის ცილინდრის ამარა.
მიარღვევს ლაჟვარდოვანსა,
როგორც სამყაროს პეპელა,
მაგრამ გათავდა ჰაერი
და სუნთქვა ერთობ ეძნელა.
გული ერევა...სულის თქმაც
გახშირდა,—თვალი დაბნელდა,
მარსიც ჯერ შორით მოპჟუტავს
გზა საშინელად გაგძელდა.
ცილინდრი კვალად გუგუნებს,
არც ორთქლავს, არცა ბოლავსა
დაუსრულებელ სივრცეში
მზის სხივებივით ქროლავსა.
არც ზეთი უნდა, არც ნავთი,
არც შეშას გააჩანაგებს
მას მართავს ძალა უცნობი,
განგების ხელი განაგებს.
ვერ აიტანა ,,იკარმა‘‘
ჰაერის ნაკლებულება
ნანობს რო ჩიტსა არა გავს
,,იკარის‘‘ აგებულება.
გამწარდა უჰაერობით
თავი დააძრო მანქანას
და ვით უსულო საგანი
ძირს გადმოეშო ქვეყანას.
გრძნობა დაჰკარგა შიშისგან
გაქრა ოცნება ,,ხეთქილი‘‘
და იატაკზე იპოვეს
დილით შუბლ გადახეთქილი.
მწარეთ ოხრავდა, კვნესოდა
უბედო იკარიელი,
რომ არსად ჩანდა ცილინდრი
და ეგდო თავცარეელი.

ეშმაკი.

# პატარა ფელეტონი

**რუსეთის „კონსტიტუცია“ სწერს ოსმალეთის კონსტიტუციას:**

„ძვირფასო დაო!

ეს რა უბედურ ვარსკვლავზე დავიბადეთ სამივ დანი: შენა, მე და სპარსეთიანთ პატარძალი! სამივეს ქორწინების გვირგვინი ეკლის გვირგვინათ რათ გადაგვექცა?! მაგრამ თქვენ რა გიჭირთ, თქვენ თითო წელიწადი მაინც დაჰყავით ქმრებთან, მე უბედურს, რო ჯვრის წერაც არა მღირსებია! სამი დღის დანიშნულს გამყარეს—„ჯერ უწლოვანია, წამოიზარდოსო“... აი, მას შემდეგ ველი მის წამოზრდას, მაგრამ სად არი?! დღე და დღე უარესი ხმები მომდის—რეაქციამ დაიმონა, იმაზე იწერს ჯვარსაო... ჰმ! ამ სამ-ოთხი წლის წინათ კი რა პირით მეფიცებოდა, როგორც მესიყვარულებოდა, რა აღთქმას მაძლევდა!.. „ახლაც ყურთ მესმის და მიკვნესის გული!..“ მაგრამ შემოდგომა იყო და-მისი სიყვარულიც ფოთოლივით გახმა, ქარმა წაიღო... ოხ, დაო! რამდენიც იმ დროს მოვიგონებ, გული მიკვდება, ცრემლით მევსება თვალები...დღითი-დღე როგორც სანთელი, ისე ვდნები... სადღა არი ჩემი გათქვინებული, წითელ წითელი ლოყები! განა იმ სილამაზის ნიშან-წყალი და ვარ?! იყვე დიდებაში, იყვე პატივში, ყველა გეთაყვანებოდეს, გაღმერთებდეს და... ბოლოს ისე დამცირდე, რო სალახანა პურიშკევიჩიც კი თავში გიბრახუნებდეს, უბრალო „ДѢВКА“-СЪ გიწოდებდეს! „ვაი რა ძნელია ვარდი დამცირდეს, ყვავს დაეჭიროს, კუკურსა გლეჯდეს!..“ ეეხ, მახლას! სად არიან ჩემი „ჟენიები,“ სად არიან ჩემ დანიშნულს რო ეცილებოდნენ და „პრედლოჟენიას“—„პრედლოჟენიაზე“ მიკეთებდნენ?! გადამიდგნენ, დაო, გადამიდგნენ მას შემდეგ, რაც „აპეკუნებმა“ მზითები ხუთთავ თავისუფლება შემიჭამეს ყველამ ზურგი მაბრუნა, ახლა ყველა რეაქციას ეკურკურება ის უფრო სარფიანი „ნევესტაა“-ო!

ჩემი სახსენებელი სულაც გაწყდებოდა რუსეთიანთ არე-მარეში, რო ეს ერთი სახლი-დუმა მაინც არ შემრჩენოდა, მაგრამ ეგეც მიმინგრ-მომინგრიეს, 3 თიბათვის აქეთია, ბოსლათ გადააქციეს და „ზუბრები“ შერეკეს შიგა... ოხ, წყეულიმც იყვეს ისე დღე და საათი, როდესაც მე ამ ქვეყანაში ფეხი შემოვდგი! სირცხვილი ჩვენ უმფროს დებსა—ინგლისიანთ და საფრანგეთიანთ რძლებსა, რო პირი გაუტვრენიათ და ხმას არ იღებენ! მაგრამ განა იმათ ჯიგარი აქვთ?! ოღონც თვითონ იყვნენ კარგათა და წყალსაც წაუღიათ უნცროსი დები! მე მიხაროდა: თუ მე იღბალი არა მქონდა, ე ჩემი დები-სპარსეთში და ოსმალეთში გათხოვილები ხო კაი ბედში ჩავარდნენ მეთქი; თქვენით ვცოცხლობდი, თქვენი იმედი მქონდა, ისევ თქვენით მედგა სული, ის კი არა თუ!.. მართალია, შუათანა დას ერთგული ქმარი შეხვდა. დღესაც ეომება მამინაცვალს—„ცოლი რათ გამიგდე დამიბრუნეო“, მაგრამ, რა გამოვიდა, ე სიცოცხლე კი ჩაუმწარეს, ე სისხლი კი გაუშრეს და! შენა ხარ და-ემენდა! ამ დღეებში რო შენი ამბავი მომივიდა, გულს შემომეყარა. ეგრე როგორ დაბრმავდა შენი ქმარი, რო საუკეთესო მეგობრებს პირი აბრუნა და მტრების ჩაგონებით, სახლიდან გერეკება! აბა მაშინ დაუდგება თვალი! იმდენიც არ იცის, რო თავისივე ხელით იჭრის ყელსა. ჩემ დანიშნულივით, როცა მამინაცვალი და მისი დამქაშები ისევ დაუწყებენ თავში ბრახუნს, მის ავლადიდებას დაეპატრონებიან, შენ მზითებს შეუთქვლეფავენ, მაშინ მოგიგონებს, მაშინ დაიწყებს თითებზე კბენას, მაგრამ გვიანღა იქნება! დაარიგე: მისამარას კონტრრევოლიუციას ნუ ეარშიყები, ჩემი ყადრი იცოდე, თორე ე შენი მეზობლის დღე დაგადგება-თქო! ზურგი ხო არ აჰქავებია მაგას?!.. შენც, ჩემო დაო, ჩემზე ისწავლე ჭკუა: რაც მე შეცთომები მომივიდა, შენ მაინც ნუ გაიმეორებ! ბიჭ-ბუჭებს ნუ აჰყვები, თავს ნუ დაიმცირებ... ვინც უნდა გეფიცებოდეს სიყვარულს, ადვილათ ნუ დაუჯერებ, ნუ დაიახლოვებ თორემ სახელს გაგიტეხავენ, ტალახში ამოგსვრიან... სხვა არა იყვეს-რა, აზეფის ამბავი მაინც ხო გაგიგონია? სხვა რაღა მოგწერო... მშვიდობით, კარგათ იყავ, შენი ამბავი შემატყობინე... ღმერთსა ვთხოვ, რო ჩემი ბედი აგცდეს გულის კანკალით ველი ტელეგრამებსა, ასე მგონია: ან ეხლა ჩაჰკლავენ ჩემ საცოდავ დაო, ან ეხლა მეთქი! ოხ, რო იცოდე. დაი, რა ცეცხლი მიკიდია გულში! თავათ ამათ დამადნეს და დამაქლექეს, შენმა დარდმა ხო უფრო ბოლო მომიღო... არა, თუ მე მკითხავ, ჩვენი ღირსი არც ერთი იყო: არც შენი ქმარი და არც ჩემი დანიშნული!.. რა ვქნა, გული გამიტყდა და იმიტომ ვამბობ ამასა... მშვიდობით.

შენი უბედური და, ყოფილი რუსეთიანთ «კონსტიტუცია“..

P. S. პურიშკევიჩის სახელი არ მინდა ვატარო, მრცხვენიან... და ისევ ჩემ დანიშნულის გვარსა ვხმარობ. მართლა, ის კი დამავიწყდა, რო ყველანი დამცინიან და «СОЛОМЕННАЯ ВДОВУШКА»-ს მეძახიან.. მახლას! „სიბერემდინ სიქაჩლე გეწეროსო!..“ რა დღეს მოვესწარ!

**ნ. აზიანი.**

# გურული სცენა.

## ცოლ-ქმარი.

ცაცო. სად ბრძანდებოდი ბატონკაცო ამდენს ხანს, რომ მაყურყუტებიე უსადილო? ხეფსი ილა ჩაბიცდა!

ექვთიმე. გაყურყუტებიე რავა, საჭკუნოთ კი არ ვეოფილვარ, კრებაზე ვიყავი თვარა!

ცაცო. რა კრებაა ბიჭო, ხომ არ გადირიე, არა გაცმა გაგიგონოს.

ექვთიმე. ა ჩურჩუტი, ახალ-თავობის კრებაზე კი არა, მოხუცუგანოზე, ხუცესს ვარჩევდით.

ცაცო. უი დასწყევლოს ღმერთმა, გული გამექანა; რაცხა სხვაი მეგონა, თვარა ხუცებს გიერია ჟუჟი... მერე ვინ აარჩიეთ?

ექვთიმე. ვინ და ვინც რომ წილოსნებს უნდოდა, —სიმონა ქვაჩაძე თუ გაგიგონია, ორაგულში ყოველ წირვაზე ასე დადადღრობს: „მოიხსენიე უფალო ღმერთო, გ. გურიელი თ—ნია და ნიკოლოზა, მკალობელი მისი ცოლ-შვილიანა“-ო, ებას რომ უქცევდენ.

ცაცო. ვაი იგენს დუუდგა თვალები, ტუსკია დატიეს და აგი აბრაგიდელი ყაზახი კი აირჩიეს!

ექვთიმე. ტუსკიას არ ვიცნობ და იმას ივანეც კი ჯობდა და ესტატაიც.

ცაცო. ესტატაი რა ვიცი და ივანეს რომ არ ეირჩევდენ კი ვიცოდი, ხომ კი გახსოვს, ავტობისტია თუ რაცხა მათი ცოდვა, იგი ვართ, იძახოდა და ბალნებმა ლექსიც კი გამოუთქვეს:

ავტობისტი მოძღვარიო,
მუცელ გუუმაძღარიო.

ექვთიმე. აბა აფხაზავას მეც შავი კენჭი უგდეხე. იმის კუჭი მქონდა, იგი რომ ეტიფანეს კოჭებში უძუძგურებდა და უჩიტლობას წაყვანამდი მიამჩა, მარა მაგიორში ახლა კი დიესხა ქოჩი, დარჩა-ბუზათ.

ცაცო. აგი კი დაგიმადლე, იგი სხვაფერათაც გუსტოორებელი კაციათ ჩივიან, შენ კი არა, ნეტაი მეც მქონებოდა ხმაი, მეც მეგვეხებია იმიზა შავი გოსრაი.

ექვთიმე. ვინ იცის ჯერე საქმე რაფერ წავა, საჩივარსაც კი აწიორობენო. მიზეზი ხომ იცი, ვითამ კვაჩაძეს ბლადოჩინმა გუუიმასწნაო, მარა აგი არ დეიჯერება.

ცაცო. აგი არ დეიჯერება, მარა კაიც რომ მიენდომებია, დეკანოზიც ხომ იქინეი იქნებოდა.

ექვთიმე. ვაი, დასურ კაი გამახსენე, აგი მევიძიე ა და თლათ მისი ლექსია მგონია, აბა შენც წეიკითხე.

ცაცო (კითხულობს):

### თანამედროვე ნანაი

იავნანა, ვარდო ნანავ, მრევლო ნანინაო,
თვალები რამ აგიხილა, რამ გაგაღვიძაო.
კვლავ ბურუსში ჩაიძინეთ, დახუჭეთ თვალით,
მოიშორეთ სმუდამოთ აზრი ახალით.
ნუ უჯერხართ იმ დაწყევლილ ბუნტოვშიკებსაო,
სახარება გვიქადაგებს მოთმინებასაო,
მოიგონეთ წირვა-ლოცვა და მკტრების სულით,
საეტლო თუ საკურთხები და შვიდეულით.
დაგვიჯერეთ, ჩვენ ვართ ქრისტეს მოციქულებით,
გიჯობსთ დროზედ გადმოყაჭოთ დრამა ფულებით,
თორემ გული რომ მომივა მე ვარ იუდაო,
ახალ-გაზდა ყმაწვილები საით გაგვზავნეო,
თუმც ზოგი აზნაურებიც კი დავიხმარეთ,
ჟემამულე ღურმიშხნებშიც კი მიცნობენ მეო,
დრამა ფულზე მე ვარ ის რომ ცრემლი ვაწვიმეო.
იავნანა, მრევლო ნანა, კვლავ დაიძინეო,
ჩემი ლოცვა და კურთხევა კარგათ ისმინეო.

ცაცო. უიტ დასწყევლოს ღმერთმა, რაფერ ოლა შარაზე დუუდგიან აგი კაცი, მარა ვითამ რაია, არ ემართლებიან თუ ალაფერმა გუუძლო იგი შავ ჩასატკლეცი მუცელი!

ექვთიმე. აგი ორი ლუკმა გაფშიკებული ჭადი მაჭამე და იგენი ყველაი მენახოს ბაჩასავით გახუჭული.

ხუ.



# სამათრახო ამბები.

## ბიბლიოგრაფია.

### „სწავლა-მეცნიერება ბუნებისა და ზნეობისა“

(«ღარიბთათვის» შედგენილი ფრანცისკ იოსების-ძე გოკიელის მიერ.)

ბედნიერია ღარიბი ხალხი. თუ დღემდე უსახსრობისა გამო სამეცნიერო წიგნი ვერ შეეძინა და სიბნელეში იყო ჩაფლული, დღეს ფრანცისკ გოკიელმა „შესწირა“ მას ერთი საწაქებო ზღაპარი მეცნიერებიდან. ფრანცისკის „შესანიშნავი“ წიგნი ვარსკვლავთ მრიცხველობით იწყება, ბოტანიკასა და ზოოლოგიას გადადის და ზნეობის სამეფოში სრულდება. მართალია ქართული ანდაზა ამბობს: „ნაჩუქარ ცხენს კბილები არ გაესინჯებაო“, მაგრამ ფრანცისკის მიერ შეწირული ზღაპრის კბილები იყოდ უნდა გაიშინჯოს და ნურას უკაცრავად ღარიბ ხალხთან.

დავიწყოთ ვარსკვლავთ-მრიცხველობიდან:

„ჩვენი დედა-მიწა დაცურავს ეთერში, როგორც გემი ზღვაში“-ო

იწყებს მეცნიერებას ბ-ნი ფრანცისკი და ცხადის თავი „გემის“ კაპიტანი ჰგონია.

«დედა-მიწას რომ სარტყელი შემოვავლოთ დასჭირდებოდა სიგრძით 37000 ვერსისა, იგი იყოფება ხუთ ნაწილად: ევროპა, აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია''.

ცხადია ბ-ნი ფრანცისკი ერთობ ღარიბული ენით სწერს თავის მეცნიერებას, მაგრამ აქ ეშმაკიც ვერ გაიგებს (რასაკვირველია თუ შაშა არ იცის) რა „იყოფება ხუთ ნაწილათ“ სარტყელი, ვერსი თუ დედამიწა.

,,დედა-მიწას აქვს თავის გულში ბევრი ანდამატი (მაგნიტი) რომლის ძალით იკრავს თავისს ზურგზე: შენობებს, კაცს, პირუტყვებს, ხეხილებს და სხვა.''-ო.

რაც უნდა „ღარიბების მოტრფიალე“ იყოს მეცნიერი, ეგზომ არ დაადარიბებდა თავის ცოდნას, როგორც ეს ქველმოქმედ ფრანცისკო გოკიელს უქნია. იმას ყველაფერი სხვისთვის (ღარიბებისათვის) შეუწირავს და საკუთარ თავში თითქმის არაფერი დაუტოვებია. წარმოიდგინეთ ზოგიერთმა „ღარიბებმაც“ კი იციან, რომ ანდამატი მხოლოდ რკინეულობას იკრავს და არა ხეებს. ოჰ ფრანცისკო, ფრანცისკო! აი მაგალითად ზოგიერთი „მეცნიერის“ ზურგი ადვილად იკრავს «ეშმაკის მათრახს“, აბა მიბრძანეთ: იმ ზურგშიაც ანდამატია?

რასაკვირველია მიმზიდველობითი კანონი და ანდამატის ძალა ერთი და იგივე არ არის!!!.

,,ჩვენი დედა-მიწის ოდენა შარები, რომელნიც ურიცხვია, ,,ბუზებივით'' ტრიალებენ ჰაერში''.

წედან „გემებივით“ გასრდათ და ახლა „ბუზებით“ ტრიალებენ თურმე, შედარება რასაკვირველია აქაც ღარიბულია“.

,,აგრეთვე პლანეტები უვლიან მზის გარშემო ზოგნი მარცხნივ, ზოგნი მარჯვნივ''.

ბ-ნო ფრანცისკო! ეს რასა გავს თქვენი ჭირიმე! თუ თქვენ მზეზე ელაპარაკებით „ღარიბებს“ აბა სად გაგიგონიათ მზეს „ურიცხვი პლანეტები ეხვიოს და აგრეთვე სად გსმენიათ მზის პლანეტები „მარჯვნივ და მარცხნივ“ დატრიალობდენ. ჩვენი მზის სისტემა სახელმწიფო დუმა როდი არის, რომ მემარჯვენეები და მემარცხნეები იყვენ. როგორც ეტყობა თქვენი „საღარიბო“ მეცნიერება უფრო წარა-მარა დაცურავს ეთერში, ვიდრე ჩვენი მზის პლანეტებისა სწავლით.

ღარიბი ხალხი რასაკვირველია, „მადლობას“ მოახსენებს ფრანცისკო გოკიელს ასეთი, თუნდაც უბიდო, ცხენის ჩუქებისათვის და იმედია ბ-ნი გოკიელიც არ იქნება უმადური. როგორც ეტყობა ის სასულიერო წოდების მეცნიერი უნდა იყოს და გგონებ არაფერში არ ჩამოუვარდება ცნობილ ქუთათურ მეცნიერ მჭედლიძეს.

,,მზე არის ცეცხლის ოკეან-ზღვის მზგავსი და უზენაესის ძალით, აქვს იმისთანა თვისება, რომ მოძრაობაში მოჰყავს, როგორც ჩვენი დედა-მიწა, ისე ურიცხვი პლანეტები და ვარსკლავებიც''.

რადგანაც „უზენაესი ძალა“ აქ არაფერ შუაშია, ცხადია თითონ ფრანცისკო გოკიელი ამოძრავებს მთელ პლანეტებსა და ვარსკვლავებს თავის ზურგზე. და განა მარტო ატრიალებს ღარიბთა მოწყალე მეცნიერი?! მისი აზრით მზეზე ურიცხვი „პლანეტებიც“ ცხოვრობენ და სითბოს უმატებენ.

,,ვინ იცის რამდენი გასახურებელი მასალა უნდება იმ ელექტრიკულ მანქანას, რომელიც არის ჩვენი მზე?''.

იქ თუ დედამიწის გულში მრავალი „ანდამატები“ ჩააწყო მეცნიერმა „ხეხილების“ მისაკრავათ, ახლა მზეს ელექტრიკული“ მანქანა უწოდა და გამგეთაც რასაკვირველია ღმერთი დაუყენა.

,,მაშასადამე უნდა დავრწმუნდეთ, რომ არის შემოქმედი ცისა და ქვეყანისა, რომლის განკარგულებით ხურდება მზე''.

ამგვარი შემოქმედის რა მოგახსენოთ, ბ-ნო მეცნიერო, მაგრამ ისეთი „მათრახის გუდის“ შემოქმედი კი არსებობს, რომლის განკარგულებითაც ხურდება ზოგიერთ „ღარიბ-მეცნიერთა“ ზურგი.

ზემო მოყვანილ აზრს ისიც ამტკიცებს, აბმობს ღარიბთა მოწყალე ფრანცისკი, რომ

,,მზე ზაფხულში უახლოვდება დედა-მიწას და ზამთარში კი შორდებაო''.

ნაწუქრობით თუ არაფერს იტყვის ამაზე “ღარიბი ხალხი“ თორემ იმათში რამდენმა იცის, რომ ზაფხულში მზე გაცილებით უფრო შორსა დგას დედა-მიწიდან, ვიდრე ზამთარში.

მზე რომ არ იყოს, თურმე ხალხი წყურვილითაც მოკვდებოდა, რადგან ოკეანეების წყალს მლაშე გემო აქვთ და

,,მზე როცა ათბობს მათ, წყლები ორთქლად იქცევიან, მერე აღიან ჰაერში და იქ იკრიბებიან ღრუბლებად. ქარი კი მიდენ-მოდენის ღრუბლებს სადაც საჭიროა''.

ეს რომ მართალი იყოს, მაშინ ქარსაც მეტი ჭკუა ქქნება ბ-ნ ფრანცისკოზე, ვინაიდან ის „წაიღებს ღრუბლებს, სადაც საჭიროა“ და გოკიელს კი მიაქვს მისი ძღვენი იქ, სადაც ასეთი სისულელე სრულიად საჭირო არ არის.

,,მეცნიერებმა ისიც გამოარკვიეს რომ, ზღვის წყლები იცვლიან ხოლმე ადგილს ე. ი. სადაც წყალი იყო ის ხმელეთად იქცევა ხოლმე, და სადაც ხმელეთი, იქ ზღვის წყლები გადადიან. აქაც გულის ხმა უნდა ვყოთ ღვთის მზრუნველობა კაცზე''.

კარგი მზრუნველობაა თქვენმა მზემ, რომ ევროპა, აზია და სხვა ხმელეთები წყალ ქვეშ მოექცევ და ოკეანეთა ძირები ხმელეთზე ამოცურდენ!! ბარაქალა მეცნიერო!!.

აქ გათავდა მკითხველო ,,ვარსკვლავთ მრიცხველური'' ძღვენი ბ-ნი გოკიელისა ღარიბთადმი და წარმოი-

დგინეთ პატარა ბროშურის 17 გვერდზე ამდენი „ლარიბული“ აზრის გამოთქმა მოასწრო. თუ დამერწმუნებით ამასაც საქმე უნდა.

ახლა კი მშვიდობით დღესწორამდე. მაშინ მოვილაპარაკოთ ბოტანიკისა და ზოოლოგიის შესახებ, საიდაც გავიგებთ, რომ „მცენარეებს ბარები თურმე ფეხებზე ჰკიდიათ“.

ეშმაკი.

---

## სოფლის სკოლაში.

**მასწავლებელი**. ისაკო კვირხილაძე! წაიკითხე გაკვეთილი...

**ისაკო**. გუთნის დედა, ბატონო!

„უხერხული გუთნის დედა<br>
მეხრეებს ემუქრებოდა,<br>
ცოტა მხნელი და მთესველი<br>
მაღალ ღმერთს ემდურებოდა“.

**მასწავლებელი**. აბა დამიხსენი, რა არის მეხრე.

**ისაკო**. მეხრე ჯოხია, ბატონო.

**მასწავლებელი**. საიდგან წამოდგება ეგ სიტყვა.

**ისაკო**. ხარიდან, ბატონო!

**მასწავლებელი**. აბა კიდო რა წამოდგება ხარიდან?

**ისაკო**, ხარიდან წამოდგება, ბატონო, ხარება, ხარიტონაი, ხარაზი, ხარბი, სიხარული, სახარება...

**მასწავლებელი**. ყოჩაღ! დაჯექი...

გახარებული მოსწავლე დაჯდება.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

ახალი დრამა

პ. ი რ ე თ ე ლ ი ს ა

# ქრისტინე

(სიუჟეტი აღებულია ე. ნინოშვილის მოთხრობიდან).

წიგნი შეიცავს 80 გვერდს. დაბეჭდილია სუფთათ კარგ ქაღალდზე და ღირს ერთი აბაზი.

შემოსავლიდან 10% გადაიდება ნინოშვილის ფონდისათვის.

წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღდფულზე შემდეგის ადრესით: *Тифлисъ, Типографія Шрома Т. Е. Болквадзе.*

ვინც არა ნაკლებ 50 ცალისა გამოიწერს, დაეთმობა 25%.

ვისაც სურს პროვინციებიდან თითო ცალი გაიწეროს, შეუძლია გამოგზავნოს ერთი აბაზის მარკები და ამ ფასში მიიღებს თავის ადრესზე.



## უნუგეშო მდგომარეობა.

**დალაქი**. რატო ეგრე ჰირვეულობთ ბატონო, ლამის სკამები დაგვიმტრიოთ.

**ქართველი არტისტი**. ვჰირვეულობ რომელია შე დალოცვილო! ულვაშებსა მპარსავთ, თმა ხომ არ არის. ღმერთმა რო ინებოს და ძველი დრო დაბრუნდეს რაღა დავაგირაო, ერთი ღერი ბალანი რო არ მექნება!

---



დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად

# ღია ბარათები

ოსკარ შმერლინგისა.

# „კავკასიის ტიპები“.

მთავარი საწყობი: ს. ი. ბიხოვის ლიტოგრაფია, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ოქროევისა.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუსის ქ. № 3.

გამომცემელი პარ. ი. ომიაძე.